# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/186

ქ. თბილისი 28 ნოემბერი 2023წ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“ დაჯილდოებების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ დეპარტამენტის დამფუძნებელი, პროფესორი, რაულ კუპრავა დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ (გარდაცვალების შემდეგ);
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ დეპარტამენტის დამფუძნებელი, პროფესორი, ოთარ ხომერიკი დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ (გარდაცვალების შემდეგ);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**